გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-07-24 **24 ოქტომბერი, 2004 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - მირანდა ერემაძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ადვოკატი და---- ცი–––––––ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ---რ ხუ----------ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 2 აპრილის №073/23 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი**:

1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 1 აგვისტოს საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე მა-- კუ----------) და მოითხოვა ადვოკატ და---- ცი----------ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. მიმართვის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 17 ივლისს ლ----ი მ-------ს წარმომადგენელმა ადვოკატმა და---- ცი----------ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა რო-----მ გუ----------ს წინააღმდეგ და მოითხოვა განქორწინება, ბავშვების საცხოვრებელი ადგილის დედასთან განსაზღვრა და ალიმენტის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 24 ივლისის განჩინებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

1.3. 2023 წლის 25 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელს - ადვოკატ და---- ცი----------ეს ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწე, რათა მიეწოდებინა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ 2023 წლის 24 ივლისის განჩინებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. თუმცა ადვოკატთან კომუნიკაცია შეუძლებელი აღმოჩნდა მისი მხრიდან მოსამართლისა და მისი შემადგენლობის მიმართ აგრესიული და შეურაცხმყოფელი საუბრის გამო. ადვოკატმა მოსამართლის თანაშემწესა და სხდომის მდივანს საუბრისას მიაყენა შეურაცხყოფა (შეაგინა), ხოლო თანაშემწესთან საუბრისას იყენებდა დამამცირებელ და მუქარის შემცველ ტერმინოლოგიას.

1.4. 2023 წლის 25 ივლისს, ადვოკატმა და---- ცი----------ემ სოციალური ქსელი „Facebook-ის“ მეშვეობით მის პირად გვერდზე განათავსა საჯარო პოსტი შემდეგი ფრაზებით: „გადავხედე ამ უკანასკნელის (მა-- კუ----------ს) ბიოგრაფიას და მივხვდი ესეც დაუოჯახებელი საცოდავი, 1999 წლიდან 2015 წლამდე მოსამართლის თანაშემწე ე.ი. გარანტირებული მონური აზროვნება, ვიფიქრე რა დააშავა ჩემმა კლიენტმა ისეთი, რომ მისი განქორწინების საქმეს შინაბერები იხილავენ თქო“. „მოკლედ თავიდანვე შეეტყო საქმეს ხა------ ჯი-------ზე და მა-- ზე იყო ნათქვამი მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო!“. „სამწუხაროა „მოსამართლის“ მორალი, სინდის-ნამუსი საროსკიპოს პუტანკის დონესაც რომ ვერ აღწევს“. ამავე პოსტში ადვოკატმა მიუთითა: „წესით პირველ რიგში მოსამართლე უნდა იყოს ადამიანი, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატებოდეს მის კეთილსინდისიერებაში, სინდისში, ნამუსში, ღირსებაში, ამათგან ფრთიან ანგელოზობას არავინ ითხოვს, მაგრამ ბოროტმოქმედება მეტისმეტია, ესენი არიან იქ სადაც არ უნდა იყვნენ, ჯი-------ს ადგილია ბოსელში ძროხის მომვლელად, კუ---------- სამკერვალო ქარხანაში ქვედა საცვლების მკერავად“.

1.5. 2023 წლის 28 ივლისს (11:07 სთ. და 14:40 სთ.) ადვოკატმა და---- ცი----------ემ კვლავ

გამოაქვეყნა შეაურცხმყოფელი საჯარო პოსტები პირად სოციალურ გვერდზე, შემდეგი ფრაზით: „პირდაპირ გეუბნებით როგორც ნებაყოფლობით ბოროტმოქმედებას, სამოხელეო დანაშაულს არ მოეშვებით, ასე ვერ გამომასწორებთ ვიმოქმედო სიმართლის საწინააღმდეგოდ და არ ვიბრძოლო მისთვის!“. ამ პოსტის კომენტარში ადვოკატი წერს: „გაბრაზებული არიან ჯი-------ს სიმსუქნეზე რომ გავაკეთე აქცენტი და კუ-----------ს შინაბერობაზე“, „გადაწყვეტილების მიღებისას ჭამაზე ფიქრი სწორია?! კუჭის პრინციპით რომ მოქმედებენ მოსამართლე ეხლა გაიგეთ?! მოსამართლის სატანისტური ჟესტი კარგია?! მსუქან სამართლიან მოსამართლეზე თუ შეიძლება გვქონდეს პრეტენზია სიმსუქნეზე?! აი ბოროტმოქმედებით რომ არის გაბერილი რატომ ფიქრობ რომ აქ სიმსუქნეა გაკიცხვის საგანი?! მართლმსაჯულების გამრუდებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა კი არა წამებით უნდა ამოხადო სული?!“, „კიდევ ერთხელ გამოვავლინე მოსამართლეთა და მათი აპარატის სიბეცე და სიჩლუნგე, აი ასეთი აღვირახსნილი თვითნებები ახორციელებენ მართლმსაჯულებას“.

1.6. მიმართვის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სატელეფონო საუბრისას და სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტებით ნააზრევი გადმოსცა არა მხოლოდ არაეთიკური, შეურაცხმყოფელი შინაარსით და გამოხატა მოსამართლისადმი, სასამართლოს მოხელეებისადმი უპატივცემულობა, არამედ მისი საუბარი შეიცავს მუქარას და გაჯერებულია ძალადობრივი შინაარსის მქონე ფრაზებით, მათ შორის ქალის მიმართ გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი ფრაზებით. ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულმა პოსტებმა, კომენტარების ველში გამოიწვია სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლების აქტიურობა და მათი პროვოცირება, რაც გამოიხატა მათ შეურაცხმყოფელ და არაეთიკურ ეპითეტებში სასამართლოს, მოსამართლის თუ სასამართლოს თანამშრომელთა მისამართით, მაგ: „ამაზრზენია, ეს ე.წ. მართლმსაჯულება კ------ის გაუპატიურების შემდეგ წაკუზულია და ვინც მიადგება უარს არავის ეუბნება. აუცილებლად უნდა დასრულდეს ეს ვაკხანალია“, „ამაზრზენი კადრი ყავთ შეყრილი და უმეტესობა ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე ზის ტვირთი რომ მარტივად გადააგოროს. ექსტაზით იმხნებენ თავს და შედეგიც გასაოცრად ამაღელვებელია!“.

1.7. 2023 წლის 7 სექტემბერს მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ და---- ცი–––––––ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

1.8. ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების საფუძველზე (მუხლი 36), საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

1.9. ადვოკატმა და---- ცი–––––––ემ მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიისა და ეთიკის კომისიის სხდომაზე. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მის მიერ საოჯახო კატეგორიის საქმეზე კვალიფიციურად მომზადებული სარჩელი მოსამართლე ხა------ ჯი-------მ არ მიიღო წარმოებაში, საქმე დაეწერა მოსამართლე მა-- კ-------ს, რომელმაც გამოიჩინა ერთგვარი „კოლეგიალობა“ და ხა------ ჯი-------ს მიერ დაწყებული ქცევა - მისი სარჩელის არ მიღების ნაწილში, გააგრძელა. ადვოკატი განმარტავს, რომ ბოლოს სასამართლომ სარჩელი მაინც მიიღო წარმოებაში, თუმცა დაზიანდა კლიენტის ინტერესი, რადგან ამ ტიპის საქმეები არის ძალიან სენსიტიური

და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას.

1.10. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარადგინა ორი სატელეფონო საუბარი, რომელიც განხორციელებულია სასამართლოს შიდა ტელეფონით და იწერება. სატელეფონო საუბრებში მისი მხრიდან ეთიკურ გადაცდომას არ აქვს ადგილი.

1.11. ადვოკატმა დაადასტურა, რომ სატელეფონო საუბრისას სხდომის მდივან ლ--- სო--- ეს უთხრა ფრაზა - „ტვინის ნეირონებში ხომ არ გაქვთ ხარვეზი“, რაც გამოწვეული იყო სასამართლო სისტემის უსამართლო ქცევით (სასამართლო პირდაპირ დაუკავშირდა მის კლიენტს და შესთავაზა გამოესწორებინა ხარვეზი, რითაც მას, როგორც ადვოკატს მიაყენა შეურაცხყოფა). თავის მხრივ ლ--- სო---ემ უთხრა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ გაქვთ“. მისივე განმარტებით ეთიკის კომისიას Facebook გვერდის იდენტიფიცირების ძალიან დაბალი სტანდარტი აქვს. ეთიკის კომისიას რომ ჰქონდეს წესები, ადვოკატი იტყოდა, რომ ეს არ არის მისი პოსტი, თუმცა ეთიკის კომისია და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მაინც ჩათვლის, რომ ეს მისი პოსტია. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი სწორად რომ იყოს განაწილებული, მან არ უნდა ამტკიცოს, რომ ეს მისი გვერდია. თუმცა, ამ შემთხვევაში ადვოკატმა დაადასტურა, რომ ხმოვანი სატელეფონო საუბრები მას ეკუთვნის; ასევე მას ეკუთვნის Facebook პოსტი და კომენტარები.

1.12. ადვოკატი თვლის, რომ მისი გვერდი არის მისი პირადი სივრცე. შესაბამისად, გასათვალისწინებელია გარემოება, რომ მას პოსტი არ დაუდია რომელიმე იურიდიულ ჯგუფში. ადვოკატის მოსაზრებით რაც მან დაწერა კორექტულია, როგორც ადვოკატი, გამოხატავს თავის პრეტენზიებს სავსებით ცივილური ფორმით და ის მარაზმი, რაც ქართულ მართმსაჯულებაში ხდება, გამოსასწორებლად პოსტებზე უფრო ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს. ადვოკატის განმარტებით, მის პოსტს გამოეხმაურა უამრავი ადვოკატი, რომლებიც უცხადებენ სოლიდარობას და ყურადღებას ამახვილებენ მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე.

1.13. ადვოკატ და---- ცი–––––---ის განმარტებით, ხანდახან სიტყვა „უკანასკნელს“ იყენებს შეურაცხმყოფელი ფორმით იმისთვის, რომ ადამიანს ირიბად აგრძნობინოს, რომ მართლა „უკანასკნელია“, ანუ ეს „ფსკერადაც“ შეიძლება განიხილონ. ადვოკატის განმარტებით, მან წინადადება - „სამწუხაროა, რომ მოსამართლის მორალი და სინდის-ნამუსი საროსკიპოს პუტანკის დონესაც ვერ აღწევს“ - დაწერა ზოგად კონტექსტში და მისი გამოხატვა არ მიემართება რომელიმე კონკრეტულ მოსამართლეს.

1.14. ეთიკის კომისიის 2024 წლის 2 აპრილის სხდომაზე ადვოკატმა უარყო პოსტებისა და ჩანაწერების მისდამი კუთვნილება და ავთენტურობა. მისივ განმარტებით იგი მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით აკეთებს კრიტიკულ კომენტარს და ქალთა მიმართ ძალადობა არსად ჩანს. იგივე რომ გაეკეთებინა მამაკაც მოსამართლეს, მისი პოზიცია ანალოგიური იქნებოდა.

1.15. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმოს მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და დაადგინა, რომ ადვოკატ დ---- ც–––––ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა კერძოდ - დარღვეულია სასამართლოსთან

კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი *(ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 5.გ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1)*, რის გამოც ადვოკატს 2024 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა „საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლის ვადით“.

1.16. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საჩივრის ავტორისა და მოპასუხის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

1.17. ადვოკატი დ---- ც-------ე წარმოადგენდა კლიენტის - ლ--ი მ---ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეში, დავის საგანი - განქორწინება; ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; ალიმენტის დაკისრება.

1.18. 2023 წლის 25 ივლისს სოციალურ ქსელ Facebook-ის მომხმარებლის გვერდიდან „დ---- ცი-------ე“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი:- „გადავხედე ამ უკანასკნელის (მა-- კუ---------ს) ბიოგრაფიას და მივხვდი ესეც დაუოჯახებელი საცოდავი, 1999 წლიდან 2015 წლამდე მოსამართლის თანაშემწე ე.ი. გარანტირებული მონური აზროვნება, ვიფიქრე რა დააშავა ჩემმა კლიენტმა ისეთი, რომ მისი განქორწინების საქმეს შინაბერები იხილავენ თქო“. „მოკლედ თავიდანვე შეეტყო საქმეს ხა------ ჯი-------ზე და მა-- კ------ზე იყო ნათქვამი მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო!“. „სამწუხაროა „მოსამართლი“-ს მორალი, სინდის-ნამუსი საროსკიპოს პუტანკის დონესაც რომ ვერ აღწევს“. ამავე პოსტში ადვოკატმა მიუთითა: „წესით პირველ რიგში მოსამართლე უნდა იყოს ადამიანი, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატებოდეს მის კეთილსინდისიერებაში, სინდისში, ნამუსში, ღირსებაში, ამათგან ფრთიან ანგელოზობას არავინ ითხოვს, მაგრამ ბოროტმოქმედება მეტისმეტია, ესენი არიან იქ სადაც არ უნდა იყვნენ, ჯი-------ს ადგილია ბოსელში ძროხის მომვლელად, კუ---------- სამკერვალო ქარხანაში ქვედა საცვლების მკერავად“.

1.19. 2023 წლის 28 ივლისს სოციალურ ქსელ Facebook-ის მომხმარებლის გვერდიდან „და---- ცი-------ე“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი: „პირდაპირ გეუბნებით როგორც ნებაყოფლობით ბოროტმოქმედებას, სამოხელეო დანაშაულს არ მოეშვებით, ასე ვერ გამომასწორებთ ვიმოქმედო სიმართლის საწინააღმდეგოდ და არ ვიბრძოლო მისთვის!“. ამ პოსტის კომენტარში ადვოკატი წერს: „გაბრაზებული არიან ჯი-------ს სიმსუქნეზე რომ გავაკეთე აქცენტი და კუ----------ს შინაბერობაზე“, „გადაწყვეტილების მიღებისას ჭამაზე ფიქრი სწორია?! კუჭის პრინციპით რომ მოქმედებენ მოსამართლე ეხლა გაიგეთ?! მოსამართლის სატანისტური ჟესტი კარგია?! მსუქან სამართლიან მოსამართლეზე თუ შეიძლება გვქონდეს პრეტენზია სიმსუქნეზე?! აი ბოროტმოქმედებით რომ არის გაბერილი რატომ ფიქრობ რომ აქ სიმსუქნეა გაკიცხვის საგანი?! მართლმსაჯულების გამრუდებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა კია არა წამებით უნდა ამოხადო სული?!“, „კიდევ ერთხელ გამოვავლინე მოსამართლეთა და მათი აპარატის სიბეცე და სიჩლუნგე, აი ასეთი აღვირახსნილი თვითნებები ახორციელებენ მართლმსაჯულებას“.

1.20. სატელეფონო კავშირის მეშვეობით მა-- კუ----------ს თანაშემწე ხა------ შა------ა

დაუკავშირდა ადვოკატ და---- ცი–––––––ეს. მათ შორის წარიმართა შემდეგი შინაარსის საუბარი: *ხა------ შა------ა - „ბატონო და----, რისთვის გირეკავთ გაინტერესებთ გითხრათ?“*
ადვოკატი - „მიწვევთ მე, თქვენ იცით რისთვის მირეკავთ იცი? რომ გამომიწვიოთ და დედის ტრ...კი გაგინოთ, თქვენც ხა------ შა------ა, სო---ესაც და ...“ ხა------ შა------ა - „კორექტულად ისაუბრეთ, თორე დედის ტრ...კის გინება როგორ უნდა, მაგას მე მერე გაჩვენებთ.“
ადვოკატი - „დედის ტრ...კი გაქვთ საგინებელი პირდაპირ გეუბნებით.“
ხა------ შა------ა - „არ ვარ ვალდებული თქვენ გისმინოთ, კარგად ბრძანდებოდეთ და არ გაბედოთ აქ დარეკვა.“
ადვოკატმა და---- ცი–––––––ემ 2023 წლის 25 ივლისს დარეკა სასამართლოში და ესაუბრა სხდომის მდივან ლ--- სო---ეს:
ციტირება:
ადვოკატი - „გრძელი ენა რომ აქვს და რეკავს იქეთ-აქეთ, მაგას უნდა გავცე პასუხი, 2-ის შემდეგ დავურეკავ და მიპასუხოს,“
ლ--- სო---ე - „სად დაურეკავთ?“
ადვოკატი - „მობილურზე ან შიდაზე.“
ლ--- სო---ე - „შიდაზე უნდა დარეკოთ.“
ადვოკატი - „თქვენ რას მასწავლით მე სად უნდა დავრეკო და როგორ უნდა დავრეკო?“
ლ--- სო---ე - „რას ქვია გასწავლით, სამსახურში რომ ვართ და შიდა ნომერი რომ გვაქვს, იქ უნდა დარეკოთ.“
ადვოკატი - „არა შიდაზე რომ არ დავრეკო და მობილურზე რომ დავრეკო რაა მერე, თქვენ ცოტა ხომ არ გძმარავთ ტვინში და ცოტა ხარვეზები ხომ არ გავთ ტვინში, ნეირონებში ხარვეზები ხომ არ გაქვთ თქვენ და კ-------ლს?“
ლ--- სო---ე - „ჩვენ გვგონია რომ თქვენ გაქვთ.“
ადვოკატი - „თქვენი დედა მოვტ...ან მე, თუ ეგრე გგონიათ, თქვენი ხარვეზიანი დედა შევ...ცი მე, გაიგეთ ეხლა?“
ლ--- სო---ე - „გავიგეთ.“
ადვოკატი - „კარგად ბრძანდებოთ.“
ლ--- სო---ე - „კარგად.“
ადვოკატმა და---- ცი–––––––ემ 2023 წლის 25 ივლისს დარეკა სასამართლოში და ესაუბრა მა-- კუ–––––––ს თანაშემწე ხა------ შა------ას:
ადვოკატი ხა------ შა------ასგან ითხოვს განმარტებას, რა უფლებით დაუკავშირდა მის მარწმუნებელს განჩინებასთან დაკავშირებით.
ციტირება:
ხა------ შა------ა - „მე არ მქონდა მხარესთან დარეკვის უფლება?“
ადვოკატი - „თქვენ ბოროტმოქმედების უფლებაც გაქვთ გგონიათ. ლ--- მ-----ს შეუძლია ხარვეზის გამოსწორება და და---- ცი–––––––ეს - ადვოკატს არ შეუძლია? და მერე რომ გეუბნებით დედის ტრა...ის გინების ღირსი ხართთქო - არ მოგწონთ.“
ხა------ შა------ა - „აღელვებული რომ მელაპარაკეთ დილით, მე ჩავთვალე რომ ახლა ბოდიშის მოსახდელად რეკავდით და თქვენ ესე იგი მაინც იგივე აზრზე ხართ?“
ადვოკატი - „აღელვებული კი არ ვარ, ძალიან შეურაცხყოფილი ვარ, ბოდიშს თქვენ არ მოგიხდით, ბოდიშს მე მოვუხდი ადამიანს, ვინც არის მართალი ადამიანი, და

თქვენ არა ხართ მართალი ადამიანი, პირადად თქვენზე მინდა გესაუბროთ, თუ მომცემთ საშუალებას. ვისი თანაშემწეც ხართ, ეს კუ----------- რომ არის, ეს არასწორი მოსამართლეა, რადგან დაუჭირა მხარი არასწორ მოსამართლე ხა------ ჯი-------ს და სირცხვილ-ნამუსი მობანა. ახლა მე თქვენ განჩინებას ავიღებ, კერძო საჩივრით აპელაციაში გავასაჩივრებ, დიდი იმედი იქაც არა მაქვს, მაგრამ თუ დაკმაყოფილდა ვაი თქვენს პატრონს უბედურს.“

ხა------ შა------ა - „და მე რა შუაში ვარ ეგეც მითხარით.“

ადვოკატი - „თქვენ, ლ--- სო---ე, კოლექტიურად მა-- კ--------ს უჭერთ მხარს და მონური აზროვნება გაქვთ.“

ხა------ შა------ა - „რა იცით რომ მხარს ვუჭერ?“

ადვოკატი - „იმიტომ რომ 2 დღეა გირეკავთ, სავარაუდოდ იცოდით რომ განჩინება უკვე უარი იყო და და---- ცი----------ე რომ არ გაბრაზდესო, 2 დღე არც შიდაზე მპასუხობთ და არც მობილურ ტელეფონზე, გამიგეთ? ანუ კოლექტიურად ხართ დაკავშირებული კ--------ნ და ფაქტობრივად თქვენს შორის უბრალოდ სახელი და გვარებია სხვაობა, მეტი არაფერი და თქვენც გახდებით მოსამართლე, მაგრამ კ-----ე უარესი იქნებით. გაიგეთ რაშია საქმე?“

ხა------ შა------ა - „მე ორი დღით ადრე შეგატყობინებდით თუ ორი დღის მერე, ჩემთვის ცნობილი თუ იქნებოდა, მე ხომ დაგირეკავდით და გაცნობებდით და მაინც შედგებოდა ჩვენი საუბარი?“

ადვოკატი - „ერთი თვეა შემოტანილი მაქვს, იცით თქვენ რომ დღეს ლ--- მ-----ს ტანსაცმელი გამოუყარა მეუღლემ? ტანსაცმელი რომ გამოულაგა დღეს სახლიდან მეუღლემ, იცით ამის შესახებ? არ იცით. ეხლა მე დამაბრალებთ მაგას, შენ არ შემოიტანე ბატონო და----ო.“

ხა------ შა------ა - „თქვენგან განსხვავებით ბატონო და----, ლ--- მ-------ი მშვიდად საუბრობს და მიუხედავად იმისა რასაც თქვენ ამბობთ, რომ მას ესეთი მძიმე სიტუაცია აქვს, თქვენგან განსხვავებით მშვიდად საუბრობს ქალბატონი, არ ვიცი, არ შემიტყვია აღელვება.“

ადვოკატი - „მშვიდად გელაპარაკათ კი მაგრამ მე ვარ მისი კანონიერი ინტერესების დამცველი, ლ--- მ-------ი გამოაგდეს სახლიდან და ვეუბნები, რომ გამოვიძახოთ პოლიცია, ფსიქოლოგიურ ძალადობას აქვს ადგილი, და მოვახდინოთ რეაგირება. ადამიანი მპასუხობს, რომ არ მინდაო ეს პოლიციური მეთოდების გამოყენებაო და რა ვქნა ახლა, ვაიძულო ქალბატონი? და მერე თქვენ რომ სახლიდან გამოგაგდონ ქალბატონო ხა------, ესე იგი თქვენც მშვიდად უნდა შეხვდეთ ამას? ნამუსი რომ აგხადონ და გაგაუპატიურონ დარწმუნებული ვარ თქვენ მოძალადეს სიტყვიერ შეურაცხყოფასაც არ მიაყენებთ, რას აკეთებ ამასო, იმიტომ რომ ალბათ გგონიათ მა-- კუ----------ვით და ჯი-------სა---- რომ თუ გაგაუპატიურებენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებთ, თქვენ დაისჯებით. აი ეს მორალი გაქვთ თქვენ, გამიგეთ? ჩემგან განსხვავებით.“

ხა------ შა------ა - „ბატონო და----, მე არ ვიცი ახლა ეს სასაცილოა თუ სატირალი, მაგრამ მე არ ვაპირებ ამ ტექსტებით თქვენთან საუბრის გაგრძელებას, საქმეზე ვისაუბროთ თუ გნებავთ. ჩემი პირადი ცხოვრება თქვენი საქმე არ არის. ვინ

გამაუპატიურებს და ვინ არა.“

ადვოკატი - „მომისმინე, მე სხვა რამის გამო დაგირეკე, თქვენი პირადი ცხოვრება სულ ფეხებზე მკიდია თუ გაინტერესებთ, უბრალოდ თქვენ დამიწყეთ საუბარი და აგიხსენით, თქვენი მორალი გითხარით, თქვენ რომ გაგაუპატიურონ მეთქი, ხმასაც არ ამოიღებთთქო.“

ხა------ შა------ა - „ეგ ჩემი გადასაწყვეტია ამოვიღებ თუ არა ხმას.“

ადვოკატი - „ხო არა (იცინის) თქვენი გადასაწყვეტია ზუსტად ეგ, მაგრამ თქვენ ხმას არ ამოიღებთ.“

ხა------ შა------ა - „სასაცილოა მართლა სატირალი რომ არ იყოს.“

ადვოკატი - „მომისმინეთ ეხლა გენაცვალე.“

ხა------ შა------ა - „გისმენთ.“

ადვოკატი - „თქვენ ჩემგან განსხვავებით, აიღეთ და ვითომ ანგარიში გამისწორეთ, და ჩემს მარწმუნებელს დაურეკეთ და მე ვითომ ესე ვთქვათ შეურაცხყოფა მომაყენეთ, აქედან გამომდინარე ფოსტით გამომიგზავნეთ...“

ხა------ შა------ა - „არა, საერთოდ არ მიფიქრია, მე გეტყვით, თქვენს მარწმუნებელთან დაკავშირების საკითხს.“

ადვოკატი - „ფოსტით გამომიგზავნეთ, ან მე თვითონ დღეს არ მცალია და ჩაიტანეთ კანცელარიაში და ავიღებ კანცელარიაში.“

ხა------ შა------ა - „მე აქტი შედგენილი მაქვს და გაგზავნის ვალდებულება არ მაქვს როდესაც მოსარჩელეს წარმომადგენელი ყავს. კანცელარიაში არაფერი არ ჩაგვაქვს, ელექტრონულად ატვირთულია და დოკუმენტების გაცემას მიაკითხეთ და ისინი მოგცემენ.“

ადვოკატი - „ჰოდა აბა რატომ ურეკავდით ლ--- მ------ს?“

ხა------ შა------ა - „იმიტომ, რომ აქტი უნდა ჩამედო, რომ გასაჩივრების ვადა აითვალოს სწორად.“

ადვოკატი - „ჩემთან ხომ შეადგინეთ?“

ხა------ შა------ა - „როგორ, ჩვენი საუბარი ვერ შედგა, მე ვერ გაცნობეთ თქვენ რის გამოც გირეკავდით, და არ მაცალეთ თქვენ, სულ გინებაზე გადახვედით და გავთიშე.“

ადვოკატი - „წესიერად უნდა მოიქცეთ გენაცვალე.“

ხა------ შა------ა - „მე წესიერად ვიქცევი და ჩემი მუშაობის პრაქტიკაში პირველი მაქვს ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ.“

ადვოკატი - „თქვენ სამწუხაროდ ხართ მონად დაბადებული, გამიგეთ?“

ხა------ შა------ა - „მადლობა, მადლობა.“

ადვოკატი - „და მონობის შედეგად თქვენი პრიზი შეიძლება გახდეს მოსამართლეობა, მარა ქართველი ხალხის ეს არის ტანჯვა თქვენი მოსამართლეობა, თქვენი, კუ----------ს და ჯი-------სი.“

ხა------ შა------ა - „მადლობთ.“

ადვოკატი - „კარგი და მე მოვალ ავიღებ და გავასაჩივრებ და თქვენ მოგხედავთ კიდევ იცოდეთ.“

ხა------ შა------ა - „კარგად ბრძანდებოდეთ.“

1.21. მხარეთა შორის სადავოა, 2023 წლის 25 ივლისის და 2023 წლის 28 ივლისის საჯარო

„პოსტები“, რომელიც გამოქვეყნებული იყო სოციალურ ქსელ Facebook-ში მომხმარებლის გვერდიდან „და---- ცი–––––––ე“, დაწერა თუ არა ადვოკატმა და---- ცი–––––––ემ.

1.22. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, სისტემური ანალიზისა და შეფასების შედეგად, კომისიამ დაადგინა, რომ 2023 წლის 25 და 28 ივლისს სოციალურ ქსელ Facebook-ში „და---- ცი–––––––ის“ სახელწოდებით რეგისტრირებული მომხმარებლის გვერდზე საჯაროდ განთავსებული სადავო პოსტები/კომენტარები გამოქვეყნებულია ადვოკატ და---- ცი–––––––ის მიერ.

1.23. ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო გარემოება, რომ ადვოკატს აქვს საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და მან იცის ქცევის სწორი სტანდარტი, რასაც განგრძობადად არ ითვალისწინებს. მოპასუხე ადვოკატის მხრიდან სასამართლო არაერთხელ გამხდარა შეურაცხყოფის სუბიექტი, როგორც სასამართლოში წარდგენილ წერილობით განცხადებებში, ასევე სოციალურ ქსელებში, საჯაროდ. ამასთან, კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ადვოკატი არ ნანობს თავის საქციელს, მიაჩნია, რომ მოიქცა ეთიკურად და სასამართლოს სჭირდება მსგავსი ტიპის „შეკურთხება“. არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია. ადვოკატმა კლიენტის სახელით დაწყებული სამართალწარმოება გამოიყენა პირადი ანგარიშსწორებისათვის. ადვოკატის მსგავსი სტრატეგიით ზიანდება კლიენტის, როგორც მხარის ინტერესები, ასევე არასწორად წარმოჩინდება ადვოკატის პროფესია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის განწყობის ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია ეთიკის კომისიის მიერ მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიცემულ რჩევას დისციპლინურ საქმეებში 029/21, 07.12.2021 წელი; N065/21, 30.03.2022 წელი; დისციპლინურ საქმეში N041/22, 16.03.23 წელი. ადვოკატს ამჟამად დაკისრებული აქვს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. კომისიისათვის ცხადი გახდა, რომ წინა გადაცდომების დროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ფორმამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, რის გამოც, კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ, უკვე არაერთგზის ჩადენილ მსგავს გადაცდომებზე გამოყენებული უნდა იყოს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ფორმა და ზომა. კომისიის შეფასებით, ადვოკატი და---- ცი–––––––ე წლების განმავლობაში ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას განგრძობადად ადგება ზიანი და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით ან სახდელით - გაფრთხილებით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

1.24. გადაწყვეტილებას თან ერთვის კომისიის წევრების: ინგა ნებიერიძისა და ბესიკ ქარცივაძის განსხვავებული აზრი; ასევე, კონსტანტინე გელაშვილის, ანა ლორიას, ბესარიონ ბოხაშვილისა და ანა ხურციძის თანმხვედრი მოსაზრებები

2. **ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები**:

2.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 02 აპრილის №073/23 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო

პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა და---- ცი–––––––ემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

2.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიის N073/23 გადაწყვეტილება არაკეთილსინდისიერი და დაუსაბუთებელია, დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის“ 35-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის და „ადვოკატთა შესახებ დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

2.3. ის სასამართლომ 2023 წლის 7 აგვისტოს N4/5841-23 დადგენილებით დააჯარიმა 2000 ლარით ისეთ ფაქტზე, რაც მართლმსაჯულების ისტორიაში უპრეცედენტოა, ხოლო ეთიკის კომისიამ კი დაჯარიმებულ ადვოკატს ორჯერ დაადო დისციპლინური სახდელი და მათგან ყველაზე მკაცრი.

2.4. ადვოკატის განმარტებით, „ადვოკატთა შესახებ დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დისციპლინური სახდელის გაქარწყლების შემდეგ, ადვოკატის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სახდელი“. შესაბამისად უჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რატომ დაარღვია ეთიკის კომისიამ დებულების ეს დანაწესი და რატომ გამოიყენა მისი გაქარწყლებული წარსული საქმეები, როცა ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მას მხოლოდ ერთი გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი (N063/23 საქმე) გაფრთხილება ჰქონდა. ასევე „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 29-ე მუხლის“ შესაბამისად „თუ საპროცესო კოლეგიას გადაეცა რამდენიმე საჩივარი (მიმართვა) ერთი და იმავე ადვოკატის წინააღმდეგ, რომელიც წარდგენილია ერთი მხარის მიერ, მას აქვს უფლება ისინი გააერთიანოს ერთ წარმოებად და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება“, მოცემულ შემთხვევაში არ მოხდა 2023 წლის 12 ივლისს და 2023 წლის 31 ივლისს გამოცემული განჩინებების საფუძველზე დაწყებული დისციპლინური საქმეების გაერთიანება, ვინაიდან მიზანი იყო გაუქარწყლებელი სახდელის არსებობა ადვოკატისათვის მძიმე შედეგის დასადგომად.

2.5. საჩივრის ავტორის განმარტებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია თავის სხდომაზე განიხილავს კოლეგიურად, 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს ეთიკის კომისია განიხილავს არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 8 წევრის ხმა. ასევე „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს არანაკლებ 10 წევრის მონაწილეობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღოს არანაკლებ 8 წევრის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად მოითხოვს ქვორუმს ეთიკის კომისიის არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის არანაკლებ 8 წევრის ხმაა საჭირო. მოცემულ შემთხვევაში საქმეს განიხილავდა ეთიკის კომისიის 12 წევრი ანუ ქვორუმი შედგა, თუმცა სამი სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, პირველი - 2 წევრის ხმით, მეორე - 4 წევრის ხმით და მესამე - 6 წევრის ხმით. შესაბამისად ვერცერთმა სახდელმა ვერ დააგროვა არანაკლებ 8 წევრის ხმა და არგუმენტი, რომ 6 წევრის ხმას, რომელმაც ხმა მისცა მისთვის სამი წლით უფლებამოსილების შეჩერებას, უნდა დაემატოს 2 წევრის ხმა რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს უფლებამოსილების შეჩერებაზე, ვერანაირ არგუმენტად ვერ ივარგებს, ვინაიდან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არის ერთიანი, ამდენად უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ეთიკის კომისიამ ვერ მიაღწია საერთო გადაწყვეტილებას და უუნაროები აღმოჩნდნენ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია**:
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სრულად იზიარებს ეთიკის კომისიის 2024 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე N073/23, როგორც სამართლებრივ დასაბუთების, ასევე გამოყენებული სახდელის ნაწილში და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ და---- ცი–––––––ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N073/23 შემდეგ გარემოებათა გამო:
5. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.
6. **პირველ რიგში, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ, ჯამში, რადგან ადვოკატის ხუთი შედავებაა წარმოდგენილი, რაც მოიცავს პროცედურულ და მატერიალურ-შინაარსობრივ საკითხებს, პირველ რიგში, უნდა იქნეს პროცედურული სამართლებრივი პრობლემა განხილული, ხოლო შემდგომ - არსებითი, რადგან**

პროცედურული შედავების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლოა გამოირიცხოს არსებითი საკითხის შეფასების აუცილებლობა. ამავდროულად, მეტი სიცხადისთვის, პალატა მიუთითებს, რომ წარმოდგენილ საჩივარში სადავოდ არ არის გამხდარი, ასევე არანაირი დასაბუთებული შედავებაა წარმოდგენილი გამოხატვის თავისუფლების ჭრილში ადვოკატის ეთიკური სტანდარტის შეფასების შესახებ, ამიტომ პალატა პროცედურული საკითხების შემდგომ იმსჯელებს არა ზოგადად პასუხისმგებლობის დაკისრების სათანადოობაზე, არამედ კომისიის მიერ პასუხისმგებლობის ზომაზე მსჯელობისას გათვალისწინებული შედავებული გარემოებების საფუძვლიანობაზე (იგულისხმება ადმინისტრაციული სახდელის გამო ორმაგი პასუხისმგებლობის არსებობის, ასევე ხანდაზმულობის გამო წარსული დისციპლინური საქმისწარმოების შედეგების გამოყენების აკრძალვის შესახებ გარემოებები).

7. ადვოკატის პროცედურული დარღვევის პრეტენზია შეეხება დისტანციურად ჩატარებული სხდომით ზეპირად აზრის გამოთქმის უფლების დარღვევის, ასევე კომისიის გადაწვყეტილებაუნარიანობისა და ქვორუმის არსებობის შესახებ შედავებებს. თუ კი აღნიშნული პრეტენზია არ დაკმაყოფილდება, სასამართლომ უნდა იმსჯელოს არსებითი სახის შემდეგ ორ შედავებაზე: ორმაგი პასუხისმგებლობის არსებობისა და წარსულში არსებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის გამო კომისიის მიერ მათი გათვალისწინების კანონიერებაზე.

8. პროცედურულ ნაწილში, ადვოკატის პირველი პრეტენზია შეეხება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობის უფლებამოსილებას. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უფლებამოსილების სამი წლით შეჩერებაზე თანხმობა განაცხადა 12-დან მხოლოდ 6-მა კომისიის წევრმა, თანმხვედრი აზრი წარადგინა 4-მა წევრმა, რომლებმაც შეწყვეტა მოითხოვეს, ხოლო 2 წევრის მიერ წარდგენილი განსხვავებული აზრით წევრები 2 წლით შეჩერებას მიიჩნევდნენ პროპორციულად. აღნიშნული განსხვავებული აზრები მოსარჩელის თქმით ცხადყოფს, რომ კომისიამ ვერ შეძლო ჯამურად 8 წევრის ხმების დაგროვება იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიეღო.

9. სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 39-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს არანაკლებ 10 წევრის მონაწილეობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება არანაკლებ 8 წევრის მიერ. მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილი საპროცესო კოლეგიის წევრებზე მონაწილეობის შეზღუდვა. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თავის სხდომაზე განიხილავს კოლეგიურად, 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს ეთიკის კომისია

განიხილავს არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 8 წევრის ხმა. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში იგი დაერთვის გადაწყვეტილებას.

10. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობას (10 წევრი) და ქვორუმს (8 წევრი), ამიტომ დანაწესის (39-ე მუხლის მე-3 პუნქტის) უკუდასკვნიდან გამომდინარე, თუ ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი გავა კენჭისყრაზე და ქვორუმი ვერ დაკმაყოფილდება, პასუხისმგებლობა არ დადგება. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგზე თანხმობა ექვსმა წევრმა განაცხადა, ხოლო ორმა წევრმა განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, იმისათვის, რომ საბოლოოდ დადგინდეს, ნამდვილად დააგროვა თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგმა კომისიის წევრთა საკმარისი ხმები, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა სამართლებრივი დატვირთვა აქვს კომისიის 4 წევრის „თანმხვედრ მოსაზრებას“. შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა, ასეთი სახის ინსტიტუტის გამოყენება ხომ არ გულისხმობს თავის თავში განსხვავებულ აზრს, ან იზიარებს თუ არა ძირითადი გადაწყვეტილების შედეგს.

11. ამ კუთხით, პირველ რიგში, სადისციპლინო პალატა ყურადღებას მიაქცევს „განსხვავებული აზრის“, როგორც იურიდიული ინსტიტუტის დეფინიციაზე. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლის მეორე, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტები ცალსახად განსაზღვრავს ეთიკის კომისიის წევრების უფლებამოსილებას - არ გაიზიარონ კომისიის უმრავლესობის მოსაზრება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებით და დაწერონ განსხვავებული აზრი. შესაბამისად, განსხვავებული აზრი გულისხმობს კომისიის წევრთა განსხვავებულ მიდგომას, დამოკიდებულებას, შედეგს კონკრეტული საქმის მიმართ, რაც წინააღმდეგობრივია ძირითადი გადაწყვეტილებისგან. აღნიშნული ინსტიტუტი ამოწურავს გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში სწორედ საპირისპირო მოსაზრების არსებობის შემთხვევებს, შესაბამისად, ნორმაციაში სხვა სახის იურიდიული ტექნიკის, ან ბერკეტის დამატებით გამოყენების ადგილი აღარ რჩება. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ თუ კომისიის წევრი ძირითად გადაწყვეტილებას არ ემხრობა, აქვს უფლება ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადოს განსხვავებული აზრის დაფიქსირებით, ამიტომ დამატებითი ინსტიტუტების არსებობა ამ ნაწილში აღარ არის აუცილებელი.

12. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული კანონმდებლობა „თანმხვედრი აზრის“ ინსტიტუტს არ იცნობს სწორედ იმიტომ, რომ მისი საკანონმდებლო დონეზე არსებობის აუცილებლობა გამოირიცხება ამ საკითხის თავად კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტრუმენტებით ამოწურვადობით. თავის მხრივ, ეთიკის კომისიის ოთხი წევრის მიერ სპეციალურად არ მოხდა „განსხვავებული აზრის“ ინსტიტუტის გამოყენება, რადგან მათი მიზანი არ იყო სწორედ განსხვავებული აზრის დაწერა, შესაბამისად, ამ გაგებით, ცალსახაა, რომ „განსხვავებული აზრის“ ინსტიტუტი ვერ იქნება მიჩნეული „თანმხვედრ აზრად“, მათ შორის, ამ უკანასკნელის ლინგვისტური

კონოტაციის გათვალისწინებითაც.

13. სადისციპლინო პალატა ასევე განმარტავს საქმეში არსებული „თანმხვედრი მოსაზრების“ შინაარსობრივ ასპექტს, კერძოდ, მითითებულია, რომ წევრები „ვიზიარებთ ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის გადაწყვეტილებას და---- ცი-–------ის მიერ დისციპლინური გადაცდომის სამართლებრივი შეფასების ნაწილში, თუმცა გვაქვს თანმხვედრი მოსაზრება მოცემული საქმის შედეგთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებულ ზომას“, „... მოცემულ დისციპლინურ საქმეში უნდა გამოყენებულიყო უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ფორმა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა“. აღნიშნული ტექსტის შინაარსობრივი განმარტება ცხადყოფს, რომ კომისიის აღნიშნული წევრები თანხმდებიან და იზიარებენ კომისიის ძირითადი გადაწყვეტილების შედეგს და დამატებით აღნიშნავენ, მათი „თანმხვედრობა“ გამომდინარეობს სურვილიდან, რომ პასუხისმგებლობის უფრო მძიმე ზომაზეც იყვნენ თანახმა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, სასამართლოსთვის ცალსახაა, რომ საქმეში არსებული თანმხვედრი მოსაზრება არა „განსხვავებული აზრის“ ანალოგი, არამედ ძირითადი გადაწყვეტილების შედეგის დადასტურებაა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თანმხვედრი მოსაზრებით დაფიქსირებული პასუხისმგებლობის ზომა თავის თავშიც კი მოიაზრებს ძირითადი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ზომას და მის უფრო დამძიმებას გულისხმობს, რაც რაციონალურადაც ვერ ჩაითვლება საწინააღმდეგო პოზიციად.

14. დამატებით, მეტი სიცხადისთვის, სადისციპლინო პალატა შედარებისთვის მიუთითებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული ან თანმხვედრი აზრი, რომელიც დგება წერილობითი ფორმით.“ აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ცალსახაა, შორისდებული „ან“ სწორედ ამ ორი ინსტიტუტის გამიჯვნაზე და განსხვავებულობაზე მეტყველებს, შესაბამისად, მათ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები აქვთ. აღნიშნული ასევე დადასტურებულია მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ თანმხვედრი აზრის გამოყენების პრაქტიკითაც, რომელთა ანალიზიც ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანმხვედრი აზრი არ გულისხმობს ძირითადი გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ აზრს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტუღუშის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის №3/1/1473 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით).

15. სადისციპლინო პალატა ამავდროულად იზიარებს ადვოკატთა ეთიკის კომისიის პოზიციას, რომლის თანახმად, კომისიისთვის ასეთი მიდგომა არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან თანმხვედრი აზრის ავტორები ეთანხმებიან 3 წლიან შეჩერებას,

მაგრამ აზუსტებენ, რომ პასუხისმგებლობის მათ მიერ შემოთავაზებული ფორმა იქნებოდა უფრო პროპორციული, შესაბამისად, ამ ნაწილში, პალატა მიიჩნევს, რომ რადგან თანმხვედრი მოსაზრების წარმდგენი ოთხი წევრი არა თუ წინააღმდეგი, არამედ თანახმაა გადაწყვეტილების ძირითად შედეგზე, გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ქვორუმი - 8 ხმა დაკმაყოფილებულია (6 წევრს პლუს 4 წევრი = 10 წევრი), შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ ეთიკის კომისიის 10 წევრის ხმით აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერად, ხმათა საკმარისი ქვორუმით იქნა მიღებული.

16. **პროცედურულ ნაწილში, ადვოკატის მეორე პრეტენზია შეეხება დისტანციურად ჩატარებული სხდომით ზეპირად აზრის გამოთქმის უფლების დარღვევას. მისი მოსაზრებით, ონლაინ პლატფორმა „zoom"-ის გამოყენებით პროცესის ჩატარებას არ ჰქონდა გამართლება, რადგან ქვეყანაში არ იყო საგანგებო ვითარება, რომ აუცილებელი ყოფილიყო სხდომის დისტანციურად ჩატარება.**

17. სადისციპლინო პალატა უთითებს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით". აღნიშნული ნორმა გულისხმობს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის მოტივით ადვოკატისთვის პროცედურული უფლებების გარანტირებას, რომ მას ექნება შესაძლებლობა ზეპირად ან წერილობით შეძლოს საკუთარი უფლებების რეალიზება. აღნიშნული ნორმა არ ადგენს თუ კონკრეტულად როგორი საშუალებებით უნდა მოხდეს, ამ შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი ზეპირი ფორმით უფლების დაცვის უზრუნველყოფა. საქმის მასალებით დასტურდება და საჩივრის ავტორიც არ ხდის სადავოდ, რომ პროცესს დაესწრო და თავისი პოზიცია ზეპირად დააფიქსირა, შესაბამისად, სადისციპლინო პალატა აღნიშნულ პრეტენზიას ვერ გაიზიარებს, რადგან ნორმის იმპერატივის დაცვა ეთიკის კოლეგიამ უზრუნველყო.

18. **არსებით, მატერიალურ ნაწილში პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის არაპროპორციულობის შესახებ, საჩივრის ავტორის პირველი პრეტენზია მიმართულია ორმაგი პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპის დარღვევისკენ. კერძოდ, სწორედ აღნიშნულ ქმედებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 7 აგვისტოს დადგენილების თანახმად, საჩივრის ავტორის ქმედება წვრილმან ხულიგნობად დაკვალიფიცირდა და დაჯარიმდა 2000 ლარით. მისი მოსაზრებით, ზუსტად ამავე ქმედების გამო ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით საადვოკატო საქმიანობის 3 წლით შეჩერება წარმოადგენს ორმაგ პასუხისმგებლობას.**

19. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

20. ამავე კანონის პირველი მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

21. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიული ეთიკა მისი სპეციალური სტატუსიდან გამომდინარე, მოიცავს პასუხისმგებლობის სტანდარტის განსხვავებულ მოწესრიგებას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ წესებს, თუ რას გულისხმობს საადვოკატო საქმიანობა, რა შეზღუდვები, უფლებები და პასუხისმგებლობები აკისრია ადვოკატს აღნიშნული სპეციალური სტატუსით საქმიანობის პირობებში. კანონის მიზანი, მათ შორის, არის ადვოკატის ქცევის ეთიკური მინიმუმის სტანდარტიზება და გადაცდომის შემთხვევაში პასუხისგება. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, ხოლო მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ადვოკატს ავალდებულებს ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

22. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ კანონის მიზანი (სხვა მიზნებს შორის) მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის სტატუსის მქონე პირების ქცევის მიმართ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისგებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის პირველი წინადადების თანახმად, *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.* აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უშუალოდ ადამიანის მიერ ჩადენილ დარღვევას აწესრიგებს და (ამ დავის მიზნებისთვის) არ განასხვავებს პიროვნების სპეციალურ სტატუსს. როდესაც პიროვნება ჩაიდენს გადაცდომას, მას, როგორც ადამიანს ეკისრება პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით, ხოლო თუ კი პირი ამავდროულად ადვოკატია, იმავე გადაცდომაზე, როგორც ადვოკატის სტატუსის მატარებელს, მისი სტატუსის ფარგლებში ეკისრება დამატებითი პასუხისმგებლობა, ანუ ერთ გადაცდომაზე ორი სხვადასხვა პასუხისმგებლობის

დაკისრება წარმოადგენს ერთმანეთის განსხვავებულ შემთხვევებს და არ შეიძლება მათი დაჯამება სწორედ ადვოკატის სტატუსის სპეციალური მოწესრიგების გამო. აქედან გამომდინარე, ადვოკატის დისციპლინური სახდელი, ზოგადად, წარმოადგენს ერთგვარ სტატუსურ, დამატებით პასუხისმგებლობას, რადგან თავად ადვოკატის პროფესია მოითხოვს განსხვავებულ რეგულირებას და მისი ჩათვლა ორმაგ პასუხისმგებლობაში დაუშვებელია. შესაბამისად, სახეზე არაა ორმაგი პასუხისმგებლობა და ამ ნაწილშიც პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას.

23. **არსებით, მატერიალურ ნაწილში ადვოკატის მეორე არგუმენტი შეეხება წარსულში სხვა ქმედებისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობების კომისიის მიერ გათვალისწინებას. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მართალია, მის წინააღმდეგ წარსულში გამოყენებული იყო სამი კერძო სარეკომენდაციო ბარათი და ერთი გაფრთხილება, თუმცა 6 თვიანი ხანდაზმულობის გამო, კოლეგიას არ უნდა მიეღო მხედველობაში ისინი.**

24. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია: ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა; ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

25. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, კერძო სარეკომენდაციო ბარათი უნდა შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით.

26. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე ადვოკატისათვის წინა დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო. დისციპლინური სახდელის გაქარწყლების შემდეგ, ადვოკატის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სახდელი.

27. ამავე დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

28. სადისციპლინო პალატა მოცემულ ნორმათა სისტემური ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ დავის მიზნებისთვის, კერძო სარეკომენდაციო ბარათი წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას, ხოლო გაფრთხილება - დისციპლინური სახდელის სახეს, შესაბამისად, მათ განსხვავებული სამართლებრივი შინაარსი აქვთ და განსხვავებული შედეგებიც დგება თითოეულის გამოყენებისას. აქედან გამომდინარე, სარეკომენდაციო ბარათი ვერ მოექცევა გაფრთხილების მარეგულირებელი ნორმების სფეროში.

29. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სწორედ ხანდაზმულობაზე მითითებით ასაბუთებდა კომისიის წარსულში არსებული გადაწყვეტილებების ახლანდელ საქმეზე გავრცელების დაუშვებლობას. ზემოაღნიშნული დასაბუთების შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორის მოსაზრებას ვერ გაითვალისწინებს, ამავდროულად გაიზიარებს ეთიკის კომისიის მიერ აღნიშნული შემთხვევების გამოყენებას პასუხისმგებლობის პროპორციულობაზე მსჯელობის კონტექსტში.

30. რაც შეეხება 2024 წლის 22 იანვარს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საჩივრის ავტორზე დაკისრებულ დისციპლინურ სახდელს - გაფრთხილებას, ამ ნაწილში, სადისციპლინო პალატა ნაწილობრივ იზიარებს ადვოკატის შედავებას, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება მართალია, მიღებულია 2024 წლის 22 იანვარს, თუმცა წინამდებარე საქმეზე განხორციელებული ქმედებები დროში წინ უსწრებს მას. კერძოდ, ადვოკატის ყველაზე ადრინდელი ქმედება თარიღდება 2023 წლის 25 ივლისით (პირველი საჯარო პოსტის განთავსების თარიღი), ხოლო უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულია მოგვიანებით, 2024 წლის 22 იანვარს, შესაბამისად, ადვოკატს არ შეეძლო წინსწრებით სცოდნოდა აღნიშნული საქმის შედეგი, ამიტომ მისი გამოყენება წინამდებარე საქმეში პასუხისმგებლობის ზომის შესაფასებლად დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, სადისციპლინო პალატა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას აფასებს მისი სისტემურობის და ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედების სიმძიმის მხედველობაში მიღებით. კანონმდებლობა არ ავალდებულებს ეთიკის კომისიას, გადაცდომების შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებლობის სახე, ამ შემთხვევაში, გაფრთხილება გამოიყენოს აპრიორულად გრადაციული წესით. აღნიშნულს აქვს ინდივიდუალური ხასიათი და დამოკიდებულია თავად ადვოკატის ქმედების შინაარსსა და სიმძიმეზე, ხოლო წარსულში არსებული დისციპლინური ზომების გამოცდილება (ამ საქმის მიზნებისთვის) შესაძლოა გამოყენებული და გათვალისწინებული იყოს დამატებითი შეფასების სახით, რომლის გამორიცხვაც არ გულისხმობს აპრიორულად სასჯელის ზომის არაპროპორციულობას. სწორედ ასეთი შემთხვევაა სახეზე აღნიშნული დავის ფარგლებში, ამავდროულად, ადვოკატს არ წარუდგენია სხვა სახის შედავება სწორედ ამ ნაწილში, იქნებოდა ეს ეთიკის კომისიის მიერ სასჯელის ზომის შეფასების სხვა არასწორი კრიტერიუმი თუ არგუმენტი. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო

პალატა ყურადღებას ამახვილებს ამავე გადაწყვეტილების 1.4-დან 1.20 პუნქტის ჩათვლით არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, სადაც მითითებულია ადვოკატის კონკრეტული ქმედებების მძიმე შინაარსზე, რომელთა შეფასებაც ეთიკის კომისიის მიერ პროპორციულად მოხდა. აქედან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიის აღნიშნული არგუმენტი მითითებული არ იყო ძირითად პოზიციად, არამედ ჰქონდა დამატებითი მითითების ხასიათი, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ამ არგუმენტის გაბათილებას ვერ მოყვება პასუხისმგებლობის ზომის განსხვავებულად მოწესრიგების აუცილებლობა.

31. **რაც შეეხება არსებით, მატერიალურ ნაწილში ადვოკატის მესამე არგუმენტს, ის უთითებს კომისიის მიერ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. კერძოდ, სხვა, კონკრეტული ადვოკატების მიმართ კომისია მსგავსი გადაცდომების განხილვისას უფრო ლმობიერ გადაწყვეტილებებს მიიღებდა.**

32. სადისციპლინო პალატა აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგან მიიჩნევს, ასეთი სახის შედარება ეთიკის კომისიის საქმიანობასა და მისი გადაწყვეტილებების ურთიერთშედარებაში არარელევანტურია დისკრიმინაციის ჭრილში. ეთიკის კომისია, მათ შორის, სადისციპლინო პალატაც გადაწყვეტილებას კონკრეტული პიროვნების ქმედების შეფასების შემდგომ აყალიბებს რა დროსაც არ ადარებს სხვა სუბიექტების ქმედებებს. ამ კუთხით, საჩივრის ავტორი ვერ უთითებს კონკრეტულად რა ფორმით და რა დასაბუთებით გამოიხატა დისკრიმინაცია, მით უმეტეს, როდესაც ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება კონკრეტული პიროვნებითაა შემოფარგლული და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებით განსხვავებული შედეგის დაყენების გარემოება სახეზე არაა. ამავდროულად, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ის ვალდებულია საქმე განიხილოს კონკრეტული საქმის ფარგლებში, ამიტომ არ აქვს უფლებამოსილება იმსჯელოს სხვა საქმეებში ეთიკის კომისიის მიერ გამოყენებულ პასუხისმგებლობათა ზომის ჯერ პროპორციულობის შეფასებაზე, ხოლო შემდგომ განსახილველ დავასთან მის მიმართებაზე.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ დ---- ც–––––––ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 2 აპრილის №073/23 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **მირანდა ერემაძე**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

გოჩა აბუსერიძე